

კინგსის მათემატიკის ოლიმპიადის I ტური

მე-8 კლასი

1. რა ნაშთს მოგვცემს 3 მომდევნო ნატურალური რიცხვის ჯამი 3-ზე გაყოფისას?
A. 0 B. 1 C. 2

2. ცნობილია, რომ $2x + 3y = 6$. იპოვეთ $6x + 9y$
A. 12 B. 15 C. 18

3. ცნობილია, რომ $\frac{x}{x+y} = \frac{2}{5}$. იპოვეთ $\frac{y}{x+y}$
A. $\frac{1}{3}$ B. $\frac{3}{5}$ C. $\frac{5}{8}$

4. ჭადრაკის ტურნირში ყველამ ყველასთან ზუსტად ერთი პარტია ითამაშა. სულ რამდენი პარტია გათამაშდა, თუ ტურნირში 4 მოჭადრაკე მონაწილეობდა?
A. 6 B. 16 C. 12

5. კინგსის ოლიმპიადაზე 52 780 მოსწავლე მონაწილეობდა. მათ მიცემული ჰქონდათ ამოსახსნელად 10 ამოცანა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად მართალი?
A. მოიძებნება 9000-ზე მეტი მოსწავლე, რომლებმაც თანაბარი რაოდენობის ამოცანა ამოხსნეს
B. მოიძებნება 6000-ზე მეტი მოსწავლე, რომლებმაც თანაბარი რაოდენობის ამოცანა ამოხსნეს
C. მოიძებნება 5000-ზე მეტი მოსწავლე, რომლებმაც თანაბარი რაოდენობის ამოცანა ამოხსნეს